ინსტიტუტის მისია

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არჩილ ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის მისია, დღიდან დაარსებისა (1956 წელი), არის მეცნიერების განვითარებაზე ზრუნვა და სხვადასხვა დარგისთვის აქტუალური საკითხების შესწავლა-დამუშავება, რომელთა კვლევაც უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც მეცნიერული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. ინსტიტუტის მიზანია სამეცნიერო კვლევების გაღრმავება და ხარისხის ამაღლება; ინსტიტუტში ახალგაზრდების მოზიდვა და მათ განვითარებაზე ზრუნვა; კვლევის შედეგების ფართოდ გავრცელება და დანერგვა სხვადასხვა დარგებში.

ინსტიტუტში სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობს ტრადიციული სამი ძირითადი მიმართულებით: მართვის თეორია, მართვის სისტემები და მოწყობილობები, მათ შორის მართვის პროცესები ენერგეტიკულ სისტემებში, და ინფორმატიკა.

სასწავლო პროცესში ჩართულობა

სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო პროცესში აქტიურად არის ჩართული ინსტიტუტის სამეცნიერპო პერსონალი, კერძოდ:

მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ტმდ - ბ. შანშიაშვილი;
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ტმკ - გ. გიგინეიშვილი;
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი - მ. მიქელაძე;
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი - ა. ჩუტკერაშვილი;
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ტმკ - ლ. ლორთქიფანიძე;
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი - ნ. ანანიაშვილი;
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ტმკ - ზ. ბუაჩიძე;
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ტმკ - მ. ცერცვაძე;
მეცნიერ თანამშრომელი, ტმკ - ნ. მჭედლიშვილი;
მეცნიერ თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი - ი. დავითაშვილი.

ინსტიტუტს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები:

1. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის თბოენერგეტიკის, ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და ენერგოაუდიტის დეპარტამენტთან;
2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის დეპარტამენტთან.